



საქართველოს იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030453817891913

№ 04-437/ა

01 / ნოემბერი / 2013 წ.

ჯანმრთელობის დაცვის ვაუჩერული პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელთა რეგისტრაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების თაობაზე

საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის ვაუჩერული სახელმწიფო პროგრამებით (შემდგომში–პროგრამა) გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი პირების რეგისტრაციის პროცესის ორგანიზებული და კოორდინირებული წარმართვის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53–ე და 61–ე მუხლების, აგრეთვე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ–სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს:

ა) ჯანმრთელობის დაცვის ვაუჩერულ სახელმწიფო პროგრამ(ებ)ში/კომპონენტ(ებ)ში მომსახურების (საქონლის) მიმწოდებლად რეგისტრაციის თაობაზე განაცხადის ფორმა (დანართი N1; შემდგომში ტექსტსა და წესში - „განაცხადი“);

ბ) ჯანმრთელობის დაცვის ვაუჩერულ სახელმწიფო პროგრამებში მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის განაცხადის ფორმის შევსებისა და წარდგენის წესი (დანართი N2; შემდგომში–წესი).

2. სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების (რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალი, რაიონული (საქალაქო) განყოფილება და სოციალური მომსახურების ცენტრი) უფროსებს დაევალოთ:

ა) უზრუნველყონ პროგრამებში მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის მსურველი პირებისათვის წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული „განაცხადის“ ფორმის და „წესის“ ხელმისაწვდომობა;

ბ) განსაზღვრონ/გამოყონ მათ დაქვემდებარებაში მყოფი სააგენტოს თანამშრომელ(ებ)ი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამებში მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის მსურველი პირების ინფორმირებას და დახმარებას „განაცხადის“ ფორმის შევსებასთან დაკავშირებით;

გ) უზრუნველყონ პროგრამებში მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის მსურველი პირების მიერ სათანადო წესით შევსებული, მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებული (არსებობის შემთხვევაში) „განაცხადების“ მიღების (განაცხადს თან უნდა დაერთოს მიმწოდებლად რეგისტრაციის მსურველი პირის ლიცენზიის/ნებართვის ქსეროასლები, საჭიროების შემთხვევაში) და მათი აღრიცხვის (განაცხადის მიღების დღე) მიზნით, საჭირო ღონისძიებების გატარება;

დ) დაუყოვნებლივ (იმავე სამუშაო დღეს) უზრუნველყონ სააგენტოს ცენტრალურ აპარატში ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიღებული და აღრიცხული „განაცხადის“ (ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ელექტონული სახით წარდგება, დოკუმენტრუნვის ელექტრონული სისტემის (დეს) მეშვეობით, შესაბამისი წერილის საფუძველზე, „განაცხადის“ მიღებისთანავე; რაიონულმა (საქალაქო) განყოფილებებმა და სოციალური მომსახურების ცენტრებმა (გარდა თბილისისა) - „განაცხადის“ ორიგინალის შესაბამისი რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრისათვის/ფილიალისათვის გადაცემა შესაძლო პერიოდულობით, მაგრამ აღრიცხვიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.

3. გათვალისწინებულ იქნეს, რომ მიმწოდებლად რეგისტრაციის მსურველი პირის მიერ „განაცხადის“ შევსებასთან და წარმოდგენასთან ერთად, „განაცხადს“ თან უნდა ერთვოდეს სათანადო ლიცენზიის/ნებართვის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (კანონმდებლობით ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობისათვის სავალდებულო შეტყობინებების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია (სსიპ – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში შესაბამისი შეტყობინების გაკეთებისა და ამ შეტყობინების მიღების შესახებ დადასტურებული ინფორმაცია), ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. სააგენტოს ადმინისტრაციამ (გ. გოგოლაძე), საჯარო გაცნობის მიზნით, უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების, მისი დანართებისა და შესაბამისი წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების (როგორც ვაუჩერული, ასევე არავაუჩერული) განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე – www.ssa.gov.ge.

5. ქალაქ თბილისში პროგრამებში მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის მსურველ პირთა ინფორმირება და დახმარება „განაცხადის“ ფორმის შევსებასთან დაკავშირებით, წარმოებს სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტში.

6. სათანადო წესით შევსებული, მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებული (არსებობის შემთხვევაში) „განაცხადის“ მიღება წარმოებს სააგენტოს ცენტრალურ აპარატში.

7. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის ვაუჩერული პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელთა რეგისტრაციასთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და გარდამავალ პერიოდში ამ კუთხით დასარეგულირებელი ზოგიერთი საკითხის თაობაზე“ სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 20 მარტის № 04-160/ო ბრძანება.

8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს დირექტორის მოადგილეს, კახა ხელაძეს.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნოე ქინქლაძე

6. ნოე ქინქლაძე